# სახალხო გაზეთი

№ 342 კვირა, 3 ივლისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 342

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. საუკეთესო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორავან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვა განცხადებების მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



„სახალხო გაზეთი" ½ წლით (1 ივლისიდან წლის ბოლომდის) ღირს 4 მ. 80 კ.

**დ. ყვირილაში**

„ხორავნის" სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე". აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება ამ გაზეთში დასაბეჭდად.

„სახალხო გაზეთის" რედაქცია

აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 3 ივლისს, ნაშუადღევის პირველ საათზე დანიშნულია პანაშვიდი ქვაშვ. ეკლესიაში დაუვიწყარ

**შიო ჩიტაძის**

სულის მოსახსენებლად. (2—2)

ამხანაგები და მეგობრები აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 3 ივლისს, ნაშუადღევის პირველ საათზე, დანიშნულია პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში ძვირფას

**შიო ჩიტაძის**

სულის მოსახსენებლად. (2—2)

„სახალხო გაზეთის" რედაქცია

აუწყებს საზოგადოებას, რომ კვირას, 3 ივლისს, ნაშუადღევის პირველ საათზე დანიშნულია პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში დაუვიწყარ

**ვლადიმერ ბეჟანის ძე ლორთქიფანიძის**

სულის მოსახსენებლად. (2—2)

ამხანაგები და მეგობრები აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 3 ივლისს, ნაშუადღევის პირველ საათზე დანიშნულია პანაშვიდი ქვაშვეთის ეკლესიაში ძვირფას

**ვლადიმერ ლორთქიფანიძის**

სულის მოსახსენებლად. (2—2)

კნეინა ანასტასია ალექსანდრეს ასული, ელენე კონსტანტინეს ასული, ნიკოლოზ და იოსებ ალექსანდრეს ძენი თ-დნი ბარათაშვილნი აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობართ, რომ სამშაბათს, 5 ივლისს (ტფილ. მაზ.) სოფ. ბორბალოს ეკლესიაში გადახდილ იქმნება საყვარელი და ძვირფასი

**ლადო ბარათაშვილის**

გარდაცვალების წლის წირვა, პანაშვიდი და ძეგლის კურთხევა. (2—707—2)

ქ. შ. წერა-კითხ. გამავრცელებელი საზოგადოების

**სამტრედიის განყოფილების გამგეობა**

კვირას, 3 ივლისს, 1911 წ. „ედემის" ბაღში გამართავს თავის სასარგებლოდ **სეირნობას.**

(3—1372—3) დიასახლისი ქ-ნ ზ. ალხაზიშვილისა, გამგე განყოფილ. გამგეობა.

ქართული დრამატიული საზოგადოების

**საზოგადო კრების**

გაგრძელება დანიშნულია **ორშაბათს,** 4 ივლისისათვის

საღამოს 7½ საათზედ ქართულ თეატრში.

განსახილველი საგნება: 1) განხილვა თავ. პავლე იოს. თუმანიშვილის მოხსენებისა, თეატრისა და სცენის საქმეთა რეორგანიზაციის შესახებ, 2) ახალი წევრების არჩევა, 3) არჩევნები გამგეობის წევრებისა იმათ ნაცვლად, რომელნიც თავს ანებებენ გამგეობას. (3—703—3)

**ვკისრულობთ**

თარგმნას რუსულიდან ქართულად, როგორც პიესებისას ისე სხვა სალიტერატურო ნაწარმოებისას, ქართულ ხელნაწერების შესწორებას და კორექტურას, ხელმისაწდომ ფასებში.

ბაბილინა და ნარკანი.

(10—1345—10) იკითხეთ „სახალხო გაზეთის" რედაქციაში.

**საბურთალოზე** მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ომავალ ხიდის მახლობლად დაიყო 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—83)

ეკატერინე ივანეს ასული სარაჯიშვილისა

უღრმეს მადლობას უცხადებს ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, ქალაქების წარმომადგენელთ, სამღვდელოებას, მთავრობის, კულტურულ, განმანათლებელ და საქველმოქმედო დაწესებულებათ, სასწავლებლებს, ვაჭრებისა, ხელოსნებისა, მუშათა და გლეხკაცთა წარმომადგენელთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომელთაც პატივი სცეს განსვენებულ ძვირფას მეუღლის

**დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის**

ხსოვნას, როგორც პანაშვიდებზე და დაკრძალვაზე პირადის დასწრებით, ისე სატებისა, გვირგვინებისა, დეპეშებისა და წერილების გამოგზავნით. (1.1377.1)

**ელექტრო-აპოლლო-თეატრი**

დღეს, საუცხოვო პროგრამის გარდა, აჩვენებენ

დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის

**დასაფლავებას**

ტფილისში 26 ივნისს 1911 წელს.

ეს მშვენივრად გამოსული სურათი გადაღებულია საკუთრივ ჩვენი თეატრისათვის. დირექცია. (2—1376—2)

„ნამდვილი მეგობრობა"

(„Настоящая дружба").

ყოველთვის სჯობს მიმსგავსებულს მიუხედავად ყოველ-ნაირ ზომებისა ჩვენი პაპიროსების მიმსგავსებას მაინც განაგრძობენ და ვრცელდება. ეხლახანს აღმოვაჩინეთ ახალი შემთხვევა სიყალბისა ჩვენი პაპიროსის „მეგობრობა"-ზე

„Дружба")

(20 ცალი 5 კაპ.) კიდევ ვაფრთხილებთ მყიდველთ, რომ მიაქციონ ყურადღება საფ. ნიშანსადა ფირმას. (3—1366—3)



სამხატვრო-საისტორიო და სამეცნიერო ანატომიური **მუზეუმი!** პარიზის მხატვრული პანორამა-მხატვრულ-პლასტიკური და მექანიკური ფიგურები და ბიუსტები: ზოოლოგიიდან, ეთნოგრაფიიდან, მითოლოგიიდან. არა ჩვეულებრივი და ხიმვილენი.

სამეცნიერო-ანატომიური განყოფილება: ანატომია, ემბრიოლოგია, ყოველნაირი ვენერიული ავადმყოფობანი. აღმოსავლეთის ანუ აზიური ხამ ნაირი ჭირი.

ახალი ამბავი! ტფილისში პირველად სირენა ანუ თევზ-კაცა.

მუზეუმში შესვლა 30 კ., ბავშვები, მოსწავლენი და ჯარის დაბალი კაცნი 15 კ, ანატომიურ განყოფილებაში—25 კ. ქალებისთვის ოთხშაბათობით. მუზეუმი იმყოფება მიხეილის პროსპექტზე, ხინემატოგრაფ «აპოლლოს» გვერდით. პატივისცემით ზლოდინისა. (50—1338—5)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

ზაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეს. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ზედგენიძე-ზ... მ. ა. ნერვ. და ელექ.-თერ., და პარ. 10½—11 ს.

დავითაშვ... რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., დროებით წასულია.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე, კვირის გარდა, 1—1½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ს. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოზოლევსკი ზ. ზ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაკოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. დროებით წასულია.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. დროებით წასულია.

რჩევა ღირს 60 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება. სხვა შიდაღათ. სადესინფ... (წ.—1089—502)

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი სამშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარეთ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.

ახალსოფელში

კბილის ექიმი

**ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს. „დაჩა" ტერმარქაროვისა. (თ.—1333—15)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4 სახლი ჯაბამძილისა.

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ვაგზლის კერძო

**სამკურნალო**

კარედან ყოველ დღე მოსიარულე ავად-მყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკაძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

შ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი—ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ზ. ზ. ხოზოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606"-ით.** (წ.—1090—99)

დოქტორი მედიცინისა

**ი. გ. ჩუდნოვსკი გადავიდა**

კიროჩნის ქუჩა სახ. № 18.

ოფიცერთა ეკონომიურ საზ. გადოების პირდაპირ.

მიიღება შინაგან და ნერვებიანი ავადმყოფნი—ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—8 ს. (10—1336—9)

ქუთაისში

**ექიმი მ. ი. ჩხენკელი**

შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგ' იოსელიანის სახლი. (თ.-1321—24)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (წ.—1249—52)

**ექიმი** ი. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. ი—89

**ექიმი** კბილისა

ისიდორე ჟანტურია

გადავიდა ახალ ბინაზე Служба Сборов-ის გვერდზე, ავჭალის სახალხო აუდიტორიას ახლოს, ჩერქეზოვის ქუჩა (ავჭალის) № 68. (თ.—1329.—20)

**სურამში**

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გლომსაძის აგარაკი.

Sanitätsrat Dr. Kuze გალლე"ი ზ. იტყობინება: ხანგრძლივი მაგარ ყაბზად მყოფ ქალებს მე ვუწერ ფრანც იოსებ ი

უენებელ მწარე წყალს დასალევად, დილასა და საღამოს ¼ ჭიქას, რომელიც მშვენივრად მოქმედობს. ყოველთვის ეტყობა მადის გაღვიძება და საზოგადოდ ავადმყოფის გამოკეთებაც. Мотцль 181572. (1-1378-1)


## ძვირფას სახელთა ხსოვნას

უფერულია დღევანდელი ჩვენი ცხოვრება. მინელდა საზოგადოებრივი მაჯის ცემა. მკაფიოდ და გაბედულად აღარ ისმის უანგარო საზოგადო მოღვაწის მკვეთრი ხმა, ხმა მოწოდებისა და განკიცხვისა. ასეთს დროს სწორედ მნათობ ვარსკვლავივით გაიელვებს ხოლმე ჩვენს თვალწინ სახელები იმ პირთა, რომელთათვისაც საზოგადო საქმე ყველაფერზე მაღლა იდგა. შიო ჩიტაძე და ვლადიმერ ლორთქიფანიძე,—აი ის ორი სახელი, რომელსაც მოიგონებს დღეს ქართველი საზოგადოება. ვლადიმერ ლორთქიფანიძე 28 თიბათვეს გარდაიცვალა, შიო ჩიტაძე კი 4 მკათათვეს იქმნა მოკლული.

ძვირფასია ეს ორი სახელი ჩვენთვის არა მარტო იმიტომ, რომ მთელი თავისი ხან-მოკლე სიცოცხლე საზოგადოებრივი საქმეების სამსხვერპლოს შესწირეს, ძვირფასია იმიტაც, რომ დღევანდელ უფერულ დროს მათი სახელი აღვიძებს და აღვივებს მისწრაფებას იმ იდეალებისადმი, რომელთაც ახალგაზდურის გატაცებით ჰქადაგებდნენ განსვენებულნი. გაივლის ხანი, დროთა ბრუნვა, ეს უსაშინელესი დასაბამი ყოველგვარი ცვალებადობისა, პირს უცვლის ცხოვრებას, მაგრამ შიოს და ვლადიმერის ძვირფასი სახელი მაინც ხელმძღვანელ, გზის მაჩვენებელ ვარსკვლავივით დარჩება ყველა იმისთვის, ვინც იცნობდა მათს მოღვაწეობას და ვინც იზიარებდა მათს იდეალებს...

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ტფილისის უნივერსიტეტის გამო ამას წინედ ნარკვევში გვქონდა მოყვანილი „გოლოს მოსკვი" და „რუსკი ვედომოსტების" კამათი. რასაკვირველია წინააღმდეგი იყო კავკასიის უნივერსიტეტისა. ახლა „გოლოს კავკაზა"-ს ამოუწერია სატახტო ქალაქის გაზეთის წერილი და თავის მხრივაც თავისი დამახასიათებელი შენიშვნები გაუკეთებია.

„ბედი არა გაქვთ ბ. ბ. ხატისოვებო, გიორგი თუმანიშვილო და კომპანია! „ოქტომბრისტებიც" კი ამხედრდნენ თქვენს წინააღმდეგ და ნიგოზივით დანაყეს თქვენი ამფსონები.

თქვენ არა გჯერათ, როდესაც გეუბნებით და აი ხომ ჰხედავთ, თქვენ, სატახტო ქალაქშიაც გიცნობენ რანიც ბრძანდებით! იყვირეთ თქვენს მხოლოდ ოცნებაში არსებულ—მილიონებზე და საერობო წვრილ ერთეულებზე, რაც უკვე არხივს ჩაჰბარდა. თუმცა ბრმას თვალს ვერ აუხელთ და „ოქროყანის აკადემიკოსს", სულ ერთია, კულტურას ვერ შეათვისებინებთ"...

* * *

თუ შემდეგაც ასეთის ჩქარის ნაბიჯით გაგრძელდა დასავლეთ გუბერნიების საერობო არჩევნები, ზოგიერთ გუბერნიებში 22 ივლისისათვის უკვე დამთავრდება. „რუსკიე ვედომოსტი" ჰკითხულობს: რომელი ელემენტი მიიღებს უმეტესობას; ნაციონალისტები დაინარჩუნებენ ერობას თუ არაო და გადაწყვეტით ვერაფერს ამბობს, რადგანაც სიები ამომრჩეველთა, მათი გვარები ისე მშრალად არის აღნიშნული, რომ ჯერ-ჯერობით შედეგზე ლაპარაკი ნაადრევია; ახლა მხოლოდ საარჩევნო აგიტაციაა საინტერესოო:

„პირველად ნაციონალისტებმა დაიწყეს აგიტაცია, ახლა იწყებენ მათი მოწინააღმდეგენი. ვინ არიან ეს მოწინააღმდეგენი?.. ისინი ცდილობენ, რომ მომავალი ერობა არ ჩაუგდონ ხელში. ეს პარტია ადგილ-ადგილ თავის თავს „ერობის პარტიას" უწოდებს და ამით ხაზს უსვამს იმას, რომ ნაციონალისტები პოლიტიკური მოსაზრებით მოდიან ერობაში და არა საქმიანობისათვისაო".

უნდა გამოვტყდეთ, ამ საარჩევნო აგიტაციაში დიდს ენერგიას იჩენენ ნაციონალისტები. ჯერ ერთი ვოლინის არქიელის ანტონის მოწოდება რადა ღირს და ახლა ნახეთ

პოჩაევის მონასტერი, ამ მოწოდების შეთხზვის შედეგაც, როგორ შრომობს და როგორ მახეს უგებს გულუბრყვილო გლეხობის ამომრჩეველთ. მონასტერთან თურმე პათთვის სასტუმროებსა ჰმართავენ და გულ-უხვად უმასპინძლდებიან. პროვინციებიდანაც ჟემამულეებს იბარებენ.

## სამგლოვიარო დეპეშა

**ლეიპციგი.** ქართველთა წრე გულითად მწუხარებას აცხადებს მცხოვანი საზოგადო მოღვაწის **დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის** გარდაცვალების გამო.

**რედაქციამ მიიღო შემდეგი დეპეშა.** თანამემამულეთა გლოვას უერთებ ჩემს სიმწუხარეს, სასიქადულო ადამიანის დავით ზაქარიასძე სარაჯიშვილის უდროვოთ გარდაცვალების გამო. **ი. ევდოშვილი.**

ქ. სოლვიჩევოდსკი, 2 ივლისი.

# ახალი ამბავი

ტფილისი

✦ **ქალაქის სასანიტარო კომისიამ** 30 ივნისს ნაძალადევში დაათვალიერა ლიმონადის ორი ქარხანა: ზაიცევისა და ყიფიანისა და ამხანაგობისა. პირველ ქარხანაში დიდი უსუფთაობა აღმოჩნდა, ამიტომ მის მეპატრონეზე შედგენილ იქმნა შესაფერი ოქმი, მეორე ქარხნის მეპატრონეს წინადადება მიეცა, ერთის კვირის განმავლობაში გაასუფთაოს ქარხანა.

✦ **ტფ. პოლიცმეისტერმა 1 ივლისს დაათვალიერა ქალაქის უბნები.** ბევრგან სანიტარული წესებისა და სავალდებულო დადგენილებათა დარღვევა აღმოაჩინა. გუშინ პოლიცმეისტერმა ბრძანება გამოსცა, რომელშიაც პირველად აღნიშნავს ამ უწესოებას და შემდეგ უბნის პოლიციას საყვედურს უცხადებს და ავალებს, ქალაქის სისუფთავეს შემდეგში დიდი ყურადღება მიაქციოს.

✦ **1 ივლისს, ყარსის მატარებლით,** ქ. ანიდან ტფილისს დაბრუნდა ნამესტნიკის თანაშემწე სენატორი ე. ა. ვატაცი.

✦ ხმოსანი ქალაქის გამგეობის წევრი თავ. ა. ე. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, რომელიც ამ ჟამად ცარსკოე სელოში იმყოფება, მძიმე ავად გამხდარა.

✦ **ქალაქის გამგეობამ დაამთავრა ამომრჩეველთა სიის შვიდ უბნად გაყოფა.** გუშინ კი შეუდგა ამ სიების შემოწმებას ქალაქის გეგმის მიხედვით. ამ მუშაობის დამთავრების შემდეგ, შედგენილ იქმნება წინასწარი სია ამომრჩეველთა, სადაც შევლენ ის მემამულენი, რომელნიც 14 აგვისტომდე შეიტანენ 1 ივლისამდე შემდგარ დასაფასებელ გადასახადებს.

✦ როგორც გვატყობინებენ, იტალიასა და საფრანგეთში აბრეშუმის პარკის მოსავალი შარშანდელზე ნაკლები ყოფილა, რასაც გამოსახარში პარკის ფასები ძალიან აუწევია. იტალიის საბრეშუმო ბაზარზე ერთი ფუთი პარკი ღირებულა 24 მანეთად, საფრანგეთში—20 მან. კავკასიის ბაზრებში კი, ნუხა-შუშაში, ფასები 21 მანეთამდე ასულა. მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ფასები ჯერ კიდევ შედარებით მცირეა, სახელდობრ: 16—17 მანეთი. ჩარჩები ძლიერ სცდილობენ ამ ფასსაც დაუწიონ.

✦ **თავის მოკვლა.** 1 ივლისს, რევოლვერით თავი მოიკლა ლეონიდე ალექსანდრეს ძე ჟუდრამ.

✦ **საზარელი დრამა პორუჩიკი გლუშჩაკის ოჯახში.** 1 ივლისს, საღამოს 7 საათზე, კავკასიის მსროლელთა მესამე პოლკის შტაბის ადიუტანტის, პორუჩიკი ივანე პეტრესძე გლუშჩაკის სახლში, რომელიც ნიკოლოოზის ქუჩაზე (№ 79) მდებარეობს, საზარელი ამბავი დატრიალდა, რომელსაც პოლიციის ცნობა ასე გადმოგვცემს: გლუშჩაკის „დენშჩიკი“ ივანე ევტაკასი შევიდა დასაძინებელ ოთახში და მძინარე გლუშჩაკს მისვე რევოლვერი ესროლა. ტყვია მძინარეს ფერდში მოჰხვდა და მძიმედ დაიჭრა. რევოლვერის ხმაზე მეორე ოთახიდან გამოვარდა გლუშჩაკის ცოლის და, მაგრამ ევტაკისმა მასაც ორჯერ ესროლა რევოლვერი, რომლითაც მსუბუქად დასჭრა მარცხენა მხარში და მკლავში. ამის შემდეგ ევტაკისი გამოვარდა გარედ და საფეთქელში ტყვია იკრა, რისგანაც იმწამს გარდაიცვალა. ბოროტ-მოქმედება გამოწვეულია ევტაკისის გონების-შერყევით. გლუშჩაკის მდგომარეობა საშიშია.

✦ გუშინ სანიტ. აქიმმა გ. ფ. ნათიშვილმა, სანიტ. მზრუნველმა გ. ი. თოიძემ, საექიმო ფაკულტეტის სტუდენტი კ. თუშურიანცის თანახლებით, დაათვალიერეს ყველა სავაჭროები ვორონცოვის ძეგლიდან მოყოლებული ქვემო ავლაბრის ბაღამდე. 8 ფუთამდე უვარგისი ბალი, ალუბალი, ჰერამი, მსხალი და ვაშლი გადააყრევინეს მტკვარში ვაჭრებს: სასადილოებში ყველგან სისუფთავე აღმოჩნდა.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „ავი სენით შეპყრობილნი“, პიესა სამ მოქმედებად ბრიესი, ფრანგულიდან ნათარგმნი გიორგი ჯაბადარის მიერ.

## წვრილი ამბავი

✦ შეიპყრეს ჯარის კაცი არშაკ სარდაროვი, რომელიც მიმდინარე წლის მოდანგის მე 57 ქვეით პოლკიდან გაიქცა.

✦ 1 ივლისს, ალექსანდრეს ქუჩაზე იპოვეს ჩვრებში შეხვეული ბავშვი, მამრობითის სქესისა, დაახლოვებით 2 კვირისა. ბავშვი ოლღას სახებით ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

✦ 1 ივლისს, კიროჩნი ქუჩაზე მდგარ პოლიციელთან მივიდა ტფ. გუჟთა მესამე გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლე ქრისტეფორე აბიანცი და რევოლვერი სთხოვა, თავი უნდა მოვიკლაო, თუ რევოლვერს არ მომცემ მტკვარში გადავვარდებით. პოლიციელმა აბიანცი შეიპყრო და საპოლიციო სამმართველოში წაიყვანა, სადაც მოსწავლემ განაცხადა, თავის მოკვლის განზრახვა ჩემში გამოიწვია ნივთიერმა უსახსრობამაო.

✦ 30 ივნისს, საღამოს, ვორონცოვის ძეგლთან, შეიპყრეს ჯიბგირები ალექსანდრე ოქანეზოვი და არტემა სარქისოვი, რომელთაც რიგის ქუჩაზე მიმავალ ჯარის კაცს ჯიბიდან 95 კაპ. ამოაცალეს.

✦ 1 ივლისს ტფილისში შეიპყრეს გრიგოლ გრიგოლის ძე არუთინოვი და გიორგი იაკობის ძე ოზეროვი, რომელნიც ადმინისტრატიულის წესით იყვნენ გადასახლებულნი და თავის ნებით დაბრუნდნენ.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ზემო ხეთის სასოფლო სამმართველოს მწერლის ქვრივს, სულაქველიძისას დაუნიშნა პენსია წელიწადში 120 მანეთი.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **მომხმარებელი საზოგადოების „მომავალი“**ს გამგეობის წევრთა მორიგი კრება 1 ივლისს მოჰხდა. პირველად გამგეობის წევრებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს განსვენებულთ დ. ზ. სარაჯიშვილისა და ყ. ალიანის ხსოვნას და შემდეგ მორიგ კითხვებზე გადავიდნენ. გამგეობამ დაადგინა, დაიქირაოს კანტორისათვის საკუთარი ბინა, შეიძინოს საჭირო ინვენტარი და საჩქაროდ შეუდგეს საზოგადოების პაების განაღდებას. მაღაზია უნდა გაიხსნას სექტემბრის პირველ რიცხვებში.

## სასწავლებლებში

✦ **ქალთა უმაღლეს კურსებზე** ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე მოწვეულ იქმნა პროფესორი ი. ნ. ფერხოვსკი ნაცვლად ე. დ. ჟურაკოვსკისა, რომელმაც სამსახურს თავი გაანება.

✦ **სახალხო განათლების სამინისტრომ ნება დართო** მიმდინარე წლის ტომსკის უნივერსიტეტში მიღებულ იქმნან ის ახალგაზდები, რომელთაც სასულიერო სემინარიები დაუმთავრებიათ, მხოლოდ მსურველთ უნდა ჩააბარონ დამატებითი გამოცდა მათემატიკაში, ფიზიკაში და ერთ ერთ ახალ ენაში. ვისაც სემინარიის მოწმობაში ერთ-ერთ ძველ ენაში აქვს ნიშანი, იმან მეორეში გამოცდა უნდა ჩააბაროს.

## თელავი

21 ივნისს გათავდა თელავ-სიღნაღის სახ. სკოლების **მასწავლებელთა კურსები.** ლექციებს კითხულობდნენ ბ-ნნი კორხანიძე, ჯაფარიძე და ელჩანინოვი, ხელმძღვანელობდა სახ. სკოლების ინსპექტორი ბ. პოგორელოვი თუმცა სხვა უბნების ბევრმა მასწავლებელმა ითხოვა კურსებზე დასწრება, მაგრამ ნება არავის დართეს· კურსების გათავებისას ამ შემთხვევით უნდა ესარგებლათ და ექსკურსიით წასულიყვნენ სადმე, მაგრამ ამათ თელავის და მისი მიდამოების საყურადღებო ადგილები არც-კი დაუთვალიერებიათ.

✦ 26 ივნისს, დ. ზ. სარაჯიშვილის დასაფლავების დღეს, აქაურ საკათედრო ტაძარში, წ. კ· თელავის განყ. გამგეობის თაოსნობით ქალაქის სამღვდელოების მიერ **გარდახდილ იქმნა პანაშვიდი** განსვენებულის სულის მოსახსენებლად, დეკ. შიუკაშვილმა სიტყვა სთქვა.

ამავე დღეს წ. კ განყოფილების წევრთა საზოგადო კრება უნდა მომხდარიყო, მაგრამ განსვენებული სარაჯიშვილის პატივისცემის ნიშნად მეორე კვირისათვის გადაიდო.

✦ თელავს ესტუმრნენ მსახიობნი ბ-ნი შ. დადიანი და ქ-ნი ანდრონიკაშვილი. ესენი აწყურელის და სხ. მოყვარეთა მონაწილეობით რამდენიმე პიესას დასდგამენ. სხვათა შორის წარმოადგენენ ნ. შიუკაშვილის პიესებს, ავტორი შიუკაშვილი ამ ჟამად თელავში იმყოფება.

# კიდევ ქართულ თეატრის გამო

(თ-დ თუმანიშვილის მოხსენების გამო).

I

ქართულ თეატრსა და მის ბედ-იღბალზე კვლავ ჩამოვარდა ლაპარაკი, კვლავ დაფიქრა ქართული თეატრის ვითომდა უნუგეშო აწმყომა და გამოურკვეველმა მომავალმა მისი მოკეთენი, კვლავ შესდგა პროექტები მიმართული ქართული თეატრის აყვავებისაკენ, პროექტები, გულწრფელად და საქმის ინტერესით დაწერილი, მაგრამ ყოველგვარ პრაქტიკულ ხასიათს მოკლებული და ცხოვრებისაგან განყენებულად მდგარი. საკითხი ქართული თეატრის მდგომარეობისა და მისი აწმყო და მომავლის შესახებ იმდენად საინტერესოა, რომ იმედია მკითხველი არ დაგვემდურება, თუ სიტყვა ცოტა გაგვიგრძელდა ამის შესახებ.

ქართველთა ეროვნულ კულტურულ ცხოვრებაში ქართულ თეატრს ერთი უპირველესი ადგილთაგანი უჭირავს, არა ნაკლები, ვიდრე სხვა რაიმე ჩვენ ეროვნულ დაწესებულებას. მისი მნიშვნელობა მეტად დიდია და თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს, დღეობით მხოლოდ ქართულ თეატრში ისმის ქართული ენა, სხვაგან ჩვენი დედა-ენა განდევნილია განდევნილია იქიდანაც კი, საიდანაც შეიძლება არ განდევნილიყო, მაგალითად, ჩვენს კულტურულ დაწესებულებიდან. განსაკუთრებით ეს ემჩნევა აღმოსავლეთ საქართველოს.

წლევანდელი კრება ტფილისის გუბერნიის ქართველი თავად-აზნაურობისა ნათლად გვიმტკიცებს, რომ თავ.-აზნაურობაში ქართული ენა დაკარგულია. დამტვრეული რუსული გადაქცევიათ მათ დედა-ენად; იგივე ითქმის ბანკების შესახებ, იგივე ითქმის სხვა დაწესებულებათა შესახებაც. მხოლოდ წერა-კითხვის საზოგადოება და ისეთი საზოგადოებანი, რომელშიაც მშრომელი ხალხი იღებს მონაწილეობას, ინახავენ ქართულ ენას.

ასეთ დროს, როდესაც ქართული ენის გაგონება სანატრელად უხდება ქართველს, ქართულ თეატრს, გარდა იმ საერთო კულტურული მნიშვნელობისა, როგორც ყოველ თეატრსა აქვს, განსაკუთრებით მნიშვნელობა ეძლევა. ჩვენი თეატრი არის ისეთი დაწესებულება, სადაც ჩვენს საზოგადოებას შეძლება ეძლევა თავისუფლად გაიგონოს დედა-ენა. ჩვენი ხალხისათვის ქართული თეატრი საჭირო არის, როგორც კულტურული და ეროვნული დაწესებულება და ჩვენმა ხალხმა შეიგნო უკვე ეს საჭიროება. საიდანაო, გვკითხავს მკითხველი? გადათვალიერეთ ჩვენი გაზეთები და დაინახავთ საიდან. ქართული თეატრი მიჰედო მთელს საქართველოს. თუ ზამთარში ქართული თეატრი მხოლოდ ორ ქალაქში სუფევს— ტფილისსა და ქუთაისში, ზაფხულობით მთელ საქართველოს დაბა-ქალაქებში სდგამენ ქართულ წარმოდგენებს; სცენის მოყვარეთ დასი აქვთ შედგენილი და გამოცდილ მსახიობთა დახმარებით წარმოდგენებს მართავენ, ზოგიერთ დაბა-ქალაქებში კი მსახიობია მოწვეული მთელი ზაფხულით და ამ სცენის მოყვარეთა დახმარებით საზაფხულო სეზონის განმავლობაში სდგამენ წარმოდგენებს. ავილოთ მაგალითად, სურამი, ...ხონი და სხ. ეს პროვინციას... ჩვენს დედა ქალაქზე გადავიდეთ. გვეტყვიან, ქართული წარმოდგენები შემოსავალს არ იძლევიანო. მართალია, მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ამტკიცებს, თითქოს ჩვენი ხალხის ფართო წრეები თეატრში არ დადიოდეს. ამას წინეთ დრამატიული საზოგადოების მოხსენება იყო დაბეჭდილი გაზეთ „თემში“, ამ მოხსენებაში საყურადღებო ცხრილი იყო მოთავსებული, ცხრილი რომელიც ამტკიცებდა, რომ მანეთიანი და უფრო ნაკლებ ფასიანი ადგილები თითქმის ყოველთვის გაყიდული იყო, მხოლოდ უფრო ძვირფასები ყოველთვის გაუყიდველი რჩებოდნენ. რას ამტკიცებს ეს? ამტკიცებს, რომ ფართო წრე ჩვენი საზოგადოებისა ესწრება ქართულ წარმოდგენებს, მას აინტერესებს ქართული თეატრი, ქართული დრამა მისთვის მოთხოვნილებად გადაიქცა. იგივე ითქმის ქუთაისსზედაც. ეხლა გადახედეთ ქართული წარმოდგენების დროს სახალხო სახლს ტფილისში და დაინახავთ, თუ რამდენად საჭიროა ქართველთათვის ქართული თეატრი.

ქართული თეატრი ხალხის მოთხოვნილებად გადაიქცა და იმის გარდა, რომ მას კულტურული და ეროვნული მნიშვნელობა აქვს,—ამასაც უნდა გაუწიოთ ანგარიში. ასეთ დროს, რა თქმა უნდა, ლაპარაკი რამოდენიმე წლით ქართული თეატრის საქმეების შეჩერებაზე შეუძლებელია. საჭირო და სასარგებლო მოთხოვნილება ხალხისა უნდა დაკმაყოფილებულ იქმნეს. ასეთ მოთხოვნილებებს ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

ქართული თეატრის საქმის წარმოება ტფილისში განსაკუთრებითი მნიშვნელობა აქვს. ტფილისი, რაც უნდა იყვეს, ჩვენი დედა ქალაქია, ჩვენი სამშობლოს ცენტრია, ისტორიულიც, გეოგრაფიულიცა და კულტურულიც, ტფილისი მთელს საქართველოს ტონს აძლევს. ტფილისში კარგად დაყენებულ ქართული თეატრის საქმეს დიდი გავლენა ექნება მთელს საქართველოზე. ამიტომ ჩვენი უპირველესი საჭიროებაა, რომ ტფილისში ქართული თეატრის საქმე კარგად სწარმოებდეს. აქ ჩვენ ერთი კითხვა გვებადება— შეიძლება თუ არა, რომ საზოგადოდ ეროვნული თეატრი არსებობდეს უსუბსიდიოდ. ჩვენის აზრით ეს ყოვლად შეუძლებელია, ვინაიდან თითქმის არსად ეროვნული სამაგალითო თეატრი უსუბსიდიოდ, მთავრობისა ან თვითმართველობის მარივ, არ არსებობს და ვერ იარსებებს. ვერ იარსებებს ვერც ქართული თეატრი. მას დახმარება სჭირია, და თუ დახმარება იქნება ნამდვილი, მაშინ დარწმუნებული ვარ, ქართული თეატრის საქმე კარგად წავა. ამის ნიშნები ჩვენ უკვე გვაქვს, მაგრამ ამაზე ქვევით ვილაპარაკებ. თ-დ პ. თუმანიშვილის პროექტის განსახორციელებლად საჭიროა 10—11 ათასამდე მანეთი წლიურად. აი ეს 10—11 ათასი მანეთი რომ მოხ-

---

# ციმბირის ყვავილს

ყინულის შვილო, ფერმკრთალო იავ,
რა ლამაზი ხარ სპეტაკ თეთრს გედზე,
შენებრ ლამაზი, შენებრ კეკლუცი
ბევრი მინახავს სამშობლოს მთებზე.
მაგრამ, ბილიკავ, იმ ყვავილთ შორის,
ერთი ყვავილი არ მავიწყდება,
შენ რომ გიყურებ, გეალერსები,
ის თვალწინ მიდგა, ის მაგონდება.
ის მაგონდება, მისი ხმა მესმის,
იქნებ მეძახის, მეალერსება,
მაგრამ იმედი არ მაქვს მის ნახვის,
ჩემი სიცოცხლე შენთან დაჭკნება!

ი. ევდოშვილი.

# გულთა მიზიდავი

ჰამსუნისა.

ახალგაზდებით სავსე ნავი კუნძულისაკენ მისცურავდა. ერთი მათგანი, ნორჩი და ლამაზი, წამოდგა და ხმა-მაღლა წარმოსთქვა ლექსი. მისი ხმა კიდემდე აღწევდა. ქალები გულმოდგინედ უსმენდნენ; მხოლოდ ერთი, ყველაზე ნორჩი და მხიარული, ქერა თმიანი და მოძრავ-ნესტოებიანი გაჰყურებდა ნავის თავში მჯდომ ლამაზ მეზღვაურს. ქალს ის უფრო მოსწონდა. ეშმაკურად უღიმოდა და სამოქმედოდ აქეზებდა.

ახალგაზდა კი თანდათან მოიღრუბლა. უფრო და უფრო მაღლა ამბობდა ლექსს, ლოყები გაუწითლდა.

უეცრად მეზღვაურის ცქერით გართულ ლამაზს მიაჩერდა და სთქვა:

— მართალია, ჩემი ლექსები არ ვარგა, მაგრამ მე ორიოდე მოთხრობაც ვიცი. შეიძლება უკეთესი გამოდგეს. ნაპირზე გასვლისას უეჭველად უნდა დამიგდოთ ყური.

ქალებმა ტაში დაუკრეს; ყმაწვილის სიტყვები ესიამოვნათ, იცოდნენ რომ მას ბევრი თავგადასავალი ჰქონია და საამბობიც ბევრი რამ აქვს.

ის ლამაზი კი, რომელიც წინად არ უსმენდა, ეხლაც გულცივად შეჰხვდა მის სიტყვებს.

ამას მოთმინებიდან გამოჰყავდა ყმაწვილი კაცი.

— მაშ, რა გსურთ?—სასოწარკვეთილებით შეეკითხა ყმაწვილი.

— რა მსურს? არ მესმის რას მეკითხებით?—გაოცებით უპასუხა ქალმა.

— მე ანდრეას მეძახიან; არაფერიც არა მსურს. მე მიხარიან, რომ ასეთ საუცხოვო საზოგადოებაში მომიხდა მონაწილეობის მიღება.

მართლაც მას ისეთი მხიარული სახე ჰქონდა, რომ იმისი ნათქვამი სინამდვილეს ჰგავნდა! ვითომც მისი სიტყვები ჭეშმარიტება ყოფილიყოს!..

მაცდური!

ნავი კუნძულის ნაპირს მიადგა. ბოთლები გახსნეს, სმა იწყეს. ანდრეა და ლამაზი მეზღვაური ნაპირებიდან შორს ბუჩქნარში, გარეულ ფრინველთა კვერცხებს ეძებდნენ: ნიავს ხანდახან მათი კისკისის ხმა მოჰქონდა.

— ეხლა კი უნდა გვიამბოთ.—ეხვეწებოდნენ ყველანი.

— შემოკრბით, ანდრეაც მოვიდეს!—უპასუხა ყმაწვილმა.

შესდგა ქვაზედ და მომხიბლავის, ნაზის ხმით ეძახდა ანდრეას.

ანდრეაც მოვიდა, ახლო გაჩერდა, მისმა სახემ კითხვითი გამომეტყველება მიიღო.

— ქალბატონო, მხოლოდ თქვენთვის ვლაპარაკობ,—სთქვა მან ყველას გასაგონად—მზეზე აღმართულ ვერცხლის ჯვარსა ჰგევხართ; განა სილამაზით? იმით რომ ნორჩი ხართ, სათუთი. თქვენი ხელეზის კან ქვეშ ვხედავ როგორ სჩქეფს სისხლი. ძვირფასო, მსურს შესაფერი მჭერმეტყველობით გადგიშალო ჩემი გულის სიღრმე.

მაგრამ ანდრეა საბრალოდ გამოიყურებოდა, თითქოს არ იცის რა ჰქნასო. ბოლოს დაჯდა. ყმაწვილმა მოთხრობა დაიწყო. მისი ხმა ზარივით წკრიალებდა. მთელი მისი არსება ბუნების სიდიადეს შეეპყრო და თანამგზავრებიც ასეთმა გამოურკვეველმა გრძნობებმა გაიტაცა.

— მგონი თავი მოგაწყინეთ?—იკითხა მან.

— არა, არა!—წამოიძახეს ყველამ; ანდრეა კი სდუმდა·

— რატომ არ მიპასუხებთ?—მხოლოდ თქვენ მოგითხრობდით. მაშ კიდევ განვაგრძობ: ის ვაჟი, რომლისგანაც ეს სიტყვები გესმით, ნამეტანი ბედნიერიც არ იყო. წინედ ყველაფერი საუცხოვოდ მიდიოდა. ხშირად გამარჯვებული რჩებოდა პატარა ბრძოლებში, მაგრამ ერთხელ იგი უდიდესმა გრძნობამ—საუკუნო სიყვარულმა—შეიპყრო და დაიღუპა·

— ვაშა!—წამოიძახა ანდრეამ და თავი ჩაღუნა!—

— გვიამბეთ მაგაზე. გულთამხიბლავი ასეთმა სიმშვიდემ შეცდომაში შეიყვანა. ქალის გულ-ციობამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. სცდილობდა მოეცილებინა ჯადოსნური ბორკილები. დანარჩენი ქალები არ ეურჩებოდნენ, რადგან მის გულს არ იცნობდნენ. დღეს ბედმა იგი ერთს არგუნა წილად; ხვალ კი, როდესაც მზის სხივი მისი გულის მეორე მხარეს გააშუქებს, ვინ იცის, შეიძლება მეორეს ერგოს.

ანდრეა განაგრძობდა.

— გვიამბეთ ეგ!..

— რისთვის? — უპასუხა მან.— თქვენ ისეთი გულ-ქვა ხართ, რომ ვიყინები. მოწყალეო ქალბატონო და მოწყალეო ხელმწიფენო, უკვე ღამის ბინდი შემოგვეხვია.

ბრუნდებოდნენ.

გზაში მეზღვაურს სილა გაჰკრა და ნიჩბებს თითონ მოჰკიდა ხელი.

ალარაფერსა ჰხედავდა, ალარაფერი ესმოდა; რაც ძალი და ღონე ჰქონდა უსმიდა ნიჩბებს.

როდესაც ნაპირს მიუახლოვდნენ, ანდრეა უცბად მივიდა ქალთან. ვაჟს მკვდრის ფერი გადაეკრა სახეზე, ხელები წაავლო და აკანკალებულ ბაგეთაგან წარმოსთქვა აღგზნებული გულის ნადები.

— ნუღა მაწვალებთ, მეტის ატანა არ ძალმიძს. გადასწყვიტეთ. არც ერთი ქალი არ მყვარებია ისე, როგორც თქვენ! მიბრძანეთ—ვიცოცხლო თუ მოვკვდე?

— იცოცხლე, სიხარულით უპასუხა ქალმა.—პირველის დანახვისთანავე შემიყვარდი. როგორა გგონია? რისთვის გაწვალებდი დღეს? ახ, არასდროს არ შევწუხებულვარ ამრიგად,—და უცქერდა მას გაოცებით, გალღებული თვალებით, უწოდებდა მას მეფეს, თავის ღმერთს...

რამდენიმე დღე სრულიად ბედნიერი იყო... გამარჯვება თავბრუს ახვევდა, სტკბებოდა ქალის მშვენიერებით, ისე როგორც წინედაც ხდებოდა ხოლმე.

შემდეგ დადგა ისევ ძველი დრო: მოგზაურობა, ბრძოლის შემდეგ დაღლილობა, ზიზღი. ახალგაზდა გაჰქრა იქიდან, დაიკარგა, გადავიდა მეორე ქალაქში, და არაფერს იტყობინებოდა, არც წერილს სწერდა არც ბრუნდებოდა.

II

სასტუმროში, სადაც ის ორი დღის წინედ მივიდა, ბევრი მგზავრები ჩამომხტარიყო. ქალაქში მოსაწყენი იყო, ახალს ვერაფერს ნახავდა კაცი. სული დაჰქლოდა მაგრამ სიმშვიდესა ჰგრძნობდა.

ერთხელ ნასადილევს, კიბეზე ქალს შეჰხვდა. როდესაც ერთმანეთს გაუსწორდნენ, მან ქუდი მოიხადა და სალამი მისცა. ქალი ბაღში ჩავიდა. სასტუმროს პატრონისაგან გაიგო, რომ უცნობი ქალი ამავე სასტუმროში ჩამომხდარიყო... მამასთან ერთად მოგზაურობდა. გრძელმა მწვანე კაბამ, დიდმა შავმა შლიაპამ და პატარა შოლტმა შეაჩერა ყმაწვილი კიბეზე. ქალმა თითქოს ვერ შეამჩნია, კაბა აიწია და გვერდით ჩაუარა. ყმაწვილი უკან დაედევნა, ბაღში ჩავიდა. შვიდი საათი იყო. მიდამოს ცვარი ეფინებოდა.

— მოუნამავს,—სთქვა გულუბრყვილოდ,—მივიდა ქალთან ფეხსაცმელებზე მიუთითა და კვლავ განიმეორა. ქალმა გაოცებით დაიხედა ფეხსაცმელების ცხვირებზე.

— მაპატიეთ—ისევ დაიწყო ყმაწვილმა—მართალია მე მიტომ კი არ ჩამოგყევით, რომ დაგლაპარაკებოდით, მაგრამ გზა და ბილიკები ნამს ძლიერ დაუსველებია. ამის თქმა მინდოდა თქვენთვის. შეიძლება აქაურ ადგილებს არ იცნობდეთ.

— ვერაფერი გამიგია.—წაილაპარაკა ქალმა.

— კიბეზე მოგესალმეთ,—განაგრძობდა ყმაწვილი.—ის მე გახლდით, იქ მე ვიდექი. ოდნავ შეხედვამ, რომელიც თქვენ მიწყალობეთ, ჩემი გული განგმირა.

— რა გნებავთ? ჰკითხა ქალმა ბოლოს.

გულმა თრთოლვა დაუწყო და თავდავიწყებით წამოიძახა:

— შემომხედეთ! ინაცვალეთ ყველაფერი, რაც კი მაბადია, თუ

მარდეს არა თ-დ თუმანიშვილის პროექტის განხორციელებას, არამედ ქართული თეატრის მკვიდრ ნიადაგზე დამყარებას—საქმეც კარგად წავა და ჩვენი თეატრიც აღორძინდება.

თ-დი თუმანიშვილი ორ პირობას სთვლის საჭიროდ ქართული თეატრის ასაღორძინებლად—კარგ ორიგინალურ რეპერტუარს და ნიჭიერ, სკოლა-გავლილ მსახიობთაგან შემდგარ დასს. მართალი აზრია, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად გზა ნაჩვენები თ-დ თუმანიშვილის მიერ, სწორედ რომ უვარგისია. დავიწყოთ რეპერტუარიდან. ყოვლად წარმოუდგენელია სარეპერტუარო კარგი პიესები მრავლად დაიწეროს მაშინ, როდესაც ქართული თეატრის მოქმედება შეჩერებული იქნება, თუნდაც ამ პიესებში დიდი პრემიები მიეცეთ მათ ავტორებს, პირიქით, როგორც ბ. შინაურმა საფუძვლიანად აღნიშნა თავის „ჟურნალისტის დღიურში", თეატრის მუდმივი არსებობა უფრო წააქეზებს და წაახალისებს მწერლებს, ვიდრე პრემიები. ამის მაგალითებიც გვაქვს ჩვენ ეხლა. ჩვენ გვყავს ავტორები დრამატიულ ნაწარმოებთა, რომელთაც არავითარი პრემია არ მიუღიათ თავის ნაწარმოებში და რომელნიც ვერც საავტორო ჰონორარს ღირსნენ დრამატიული საზოგადოების უსახსრობისა გამო, მაგრამ რომელთაც ჩვენ ღარიბ ლიტერატურას მრავალი ნიჭიერი ნაწარმოები შესძინეს. მიუხედავად ზოგიერთთა პესიმისტური შეხედულობისა, ორიგინალური რეპერტუარის აღორძინების ნიშნები არის ეხლა ჩვენს ცხოვრებაში: აიღეთ „სიმახინჯე", „მეგობრობა", „გამხმარი ფოთოლი" შიუკაშვილისა, „მსხვერპლი" გედევანიშვილისა და თქვენ ნათლად დაინახავთ ამ ნიშნებს. მართალია, ეს ნაწარმოებებიც არ არიან დრამატიული ლიტერატურის შედევრები, მაგრამ ჩვენს ლიტერატურაში ასეთი პიესები მეტად ძვირი იყო ყოველთვის და ერთ სეზონში ახალის სამი კარგი ორიგინალური პიესის დადგმა არამც თუ ჩვენისთანა ღარიბ თეატრისათვის რეპერტუარის მხრივ, არამედ უფრო განათლებული და კულტურული ერებისათვისაც არის თვალსაჩინო და საყურადღებო მოვლენა. მერე, მე არ მესმის, რას უშლის პრემიების დანიშვნა სეზონის წარმოებას?

ქართული დრამის სეზონი თავისთავად სწარმოებდეს და პრემიებიც დანიშნული იქმნეს ორიგინალურ კარგ პიესებზე. პირიქით, სეზონის წარმოება, როგორც ზევით აღვნიშნეთ, უფრო დააინტერესებს და წაახალისებს ავტორებს.

გადავიდეთ ეხლა დასზე. ჩვენ საზოგადოებაში, უმთავრესად ინტელიგენციაში და თავად-აზნაურობაში ის აზრი ტრიალებს, თითქოს ქართველი მსახიობები რაღაც უბადრუკები რამ არიან და ამავე დროს ტფილისში მყოფ სხვა დასების არტისტები ცნობილები და ნიჭიერები. ვეჭვობ, ძლიერ ვეჭვობ ამაში და დარწმუნებულიცა ვარ, რომ ჩემი ეჭვი საფუძვლიანია. ჩვენს დასს საკმაო ნიჭიერი მსახიობები ჰყავს, საჭიროა მხოლოდ მათი კარგი მომზადება ყოველი პიესისათვის. ყოველ პიესის წარმოდგენას უნდა უძღოდეს მრავალი რეპეტიცია და მაშინ ჩვენი წარმოდგენებიც კარგად ჩაივლის. ავიღოთ, მაგალითად, ჩვენი დასის მიერ წელს კარგად მომზადებული პიესები „ნიშანი ყოფა-ცხოვრებაში", „სიმახინჯე", „მსხვერპლი" და სხვა.

ვინ წავიდა თეატრიდან ამ წარმოდგენების შემდეგ უკმაყოფილო?—არავინ. ყველა წარმოდგენის დროს სიამოვნებას ჰგრძნობდა, თითქმის ყველას უკვირდა კიდეც, როგორ მოხდა რომ ასე კარგად წარმოადგინეს ჩვენმა მსახიობებმა. იმის მიზეზი კი კარგი მომზადება იყო დასისა. წელს ჩვენ ტფილისში შემთხვევა გვქონდა, შემთხვევა, რომელმაც ნათლად დაამტკიცა, რომ ჩვენი არტისტები არაფრით არ ჩამოუვარდებიან ტფილისში მყოფ სხვა დასის არტისტებს; ქართულად უკეთ წარმოადგინეს „მეუფება წყვდიადისა" და „მირრა ეფროს", ვიდრე რუსულად ნიკულინის დასმა. რა იყო ამის მიზეზი? ისევ კარგი მომზადება ჩვენი დასისა. თურმე ჩვენ მსახიობებს, დრო თუ მისცემ მათ პიესის შესასწავლად, ნიჭსაც გამოიჩენენ და უნარსაც. აი საუკეთესო სკოლა ჩვენი მსახიობთათვის. საჭიროა არა სათეატრო სკოლაში გაგზავნა ჩვენი მსახიობებისა რუსეთში, რუსულ დიქციისა და დეკლამაციის შესასწავლად—ეს მე პირადად არ მესმის,—საჭიროა მთელი წლით დაქირავება დასისა და თუ 6 თვე წარმოდგენები იქნება—6 თვე მომზადება უნდა. მაშინ პიესებიც კარგად იქნებიან წარმოდგენილი. მე მესმის, რომ ჩვენ მსახიობებს სპეციალური დრამატიული კურსები მოვუწყოთ აქ, ტფილისში, საერთო განათლების მისაღებად და დრამატიული ხელოვნების შესასწავლად; მე მესმის ისიც, რომ დრო გამოშვებით ჩვენი მსახიობები, ან რეჟისორები, იგზავნებოდეს რუსეთსა და ევროპაში იქაურ სამაგალითო თეატრების სანახავად, ზოგიერთ რამის შესასწავლად, მაგრამ მე არ მესმის ყველა ჩვენი არტისტების მოსკოვის ან პეტერბურგის სათეატრო სკოლის მოწაფეებად გარდაქმნა. ეს პრაქტიკულადაც შეუძლებელია, ქონებრივადაც მოუხერხებელი და შედეგებიც არ მოჰყვება ისეთი, როგორსაც პროექტის ავტორი მოელის. წერილი ძლიერ გაგვიგრძელდა. ამიტომ მოკლედ დავათავებ მას. ქართულ თეატრს სჭირია სუბსიდია და მაშინ მისი საქმე კარგად წავა და ქართული წარმოდგენების მაყურებელნიც კმაყოფილი დარჩებიან, ვინაიდან დასი მატერიალურად დაკმაყოფილებული, ჩვენი ახალგაზდა და მშრომელ მსახიობთაგან შემდგარი, კარგ რეჟისორების ხელმძღვანელობით, მედგრად იმუშავებს და ცნობილი ლათინური დევიზი „ენერგია და შრომა ყველაფერს სძლევსო", დევიზი, რომელიც თ-დი თუმანიშვილის აზრით ქართულ თეატრის შესახებ არ გამართლდა, კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცებს, რამდენად საერთო მნიშვნელობა აქვს მას.

ა—ი.

# კვლავ გათენდება

(ვუძღვნი შიო ჩიტაძის და ვ. ლორთქიფანიძის ხსოვნას)

შავი ღრუბელი მიდამოს ჰფარავს,
კაეშნის ცრემლი მოლსა ეფრქვევა;
და მთის ნიავის ჩუმი ქვითინი
ობოლ საფლავებს გულში ეხვევა...
გაზაფხულის დღევ, რად დაღვრემილხარ,
ოხ, ვინ წარგტაცა ნაზი ღიმილი?
მდელო რად სტირის განთიადისას,
ტყე ცრემლს რად აფრქვევს ძაძა მოსილი?
ნუ თუ განვლილმა ზამთრის სიმკაცრემ,—
მომავალ სხივთაც უხშო ციმციმი?
და ბოროტების უწყალო სუსხმა,
მგოსნისა ქნარზე გასწყვიტა სიმი?!..
მაშ ვინ უმღეროს იმედის ჰიმნი,
დაობლებულსა მაშვრალთა კერას
მის ტკბილი ღიმი ვინ შეუერთოს,
აღფრთოვანებულ თვის გულის ძგერას?!.

—

შავი ღრუბელი მიდამოს ჰფარავს,
კაეშნის ცრემლი მოლსა ეფრქვევა;
და იდუმალი ბუნების გლოვა,
მშობელ მთა ბარსა გულში ეხვევა..
მაგრამ იქ... ტურფა აღმოსავლეთით,
მომავლის სხივი კვალად ენთება;
და სულს ახარებს იმედის ხმებით,
„კვლავ გათენდება, კვლავ გათენდება!.."

ს. ფაშალიშვილი.

## კონსტანტინე ზურაბის ძე ქავთარაძე

დღევანდელს დამატებაში ჩვენი მკითხველნი ნახავენ თუშის ქალის სურათს. ეს სურათი ახალგაზდა მხატვარ კ. ზ. ქავთარაძის ნახატია. ჩვენ დავათვალიერეთ მისი ნამუშავარი, და გადავწყვიტეთ ყოველ საკვირაო დამატებაში თითო მისი ნაწარმოები მოვათავსოთ. ყოველ მის ნახატს შემოქმედების ბეჭედი აზის, ტიპებს საოცარის სიცხადით და სინამდვილით გადმოგვცემს. იგი ჰხატავს როგორც ნახშირით ისე ფერადებით, აკვარელით და სხვა.

სამწუხაროდ, ამ ახალგაზდა მხატვარს არ იცნობს ჩვენი საზოგადოება და ჩვენც შემთხვევით გავიცანით. მისი მხატვრული უნარი განსვენებული დ. ზ. სარაჯიშვილის დახატვამ განგვიმტკიცა. ბ-ნ კ. ქავთარაძის ნახატებს ამ მოკლე ხანში გამოვფენთ ჩვენს რედაქციაში, სადაც ყველა მსურველს უფასოდ შეუძლიან დაათვალიერება. გამოფენის დღეს ცალკე გამოვაცხადებთ.

ახლა კი მოვიყვანთ ბ-ნ კ. ზ. ქავთარაძის მცირე ბიოგრაფიულ ცნობებს.

კ. ქავთარაძე ტფილისის მოქალაქეა. მას პირველად სასულიერო სასწავლებელში უსწავლია, შემდეგ რეალურ სასწავლებელში გადასულა, მაგრამ უსახსრობისა გამო სწავლა ვერ დაუმთავრებია.

ბავშვობიდანვე ნახშირი და კოტე განუყრელი მეგობრები იყვნენ, ყველა კედლები და მოაჯირ-კიბეები მისი ნახშირით იხატებოდა.

რეალურ სასწავლებლის შემდეგ იგი **1897** წ. **1900** წლამდე ხატვას სწავლობდა ჰენრიხ გრინევსკისთან.

შემდეგ **1902** წლამდე შმერლინგთან.

**1901—1903**—გ. გაბაშვილთან.

**1902—1904** წლამდე სამხატვრო სკოლაში ბ-ნ ლონგოსთან.

შემდეგ ბ-ნ ქავთარაძე თვითონ განაგრძობდა დამოუკიდებელ მუშაობას და პეტერბურგს გაემგზავრა. აქ, სხვათა შორის, თავის ნახატებს ათავსებდა „ქრივოპისნოე ობოზრენიესა" და ჟურ. „ნივაში"...

ტფილისში დაბრუნდა შარშან ოქტომბერში და მას მერე აქ განაგრძობს მუშაობას.

ახალგაზდა მხატვარი ნივთიერს სიდუხჭირეშიაც მხნედ, ენერგიულად და შეუდრკელად მისწრაფის თავის არჩეულის გზით.

## ორიოდე სიტყვა ხალხურ პოეზიაზე

საზოგადო საქმეებისადმი გულ-გრილობა მიუტევებელი დანაშაულია.

ეს მით უმეტეს ქართველებისა ითქმის:

აქ მსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვა მხოლოდ ერთ მოვლენაზე, რომელიც, ჩემის აზრით, ფრიად სამწუხარო სურათს წარმოადგენს. სახალხო პოეზიის მდგომარეობას მოგახსენებთ. მეტად მიმაჩნია ლაპარაკი იმის თაობაზე, თუ პოეზიის ამ დარგს რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში.

სოფლად ყოფნისას არა ერთი გლეხი გამიჩერებია და მითხოვნია, ეთქვა რაიმე ლექსი, მოთხრობა, ზღაპარი. მას დიდის სიამოვნებით აუსრულებია ჩემი თხოვნა: უამბნია ისეთი მოთხრობები, ზღაპრები, პოემები და ლექსები, რომელთა ხსენებაც კი არსად არის ქართულ ნაწერ ლიტერატურაში.

და განა ხალხში ცოტაა სამაგალითო ზეპირ-ნაწარმოები, რომელიც ტყვილა იკარგება დროთა-ბრუნვის ზე-გავლენით?!

მოვლენის წინააღმდეგ რაიმე ზომებს ვიღებთ?..

თითქმის არაფერს!..

ერთი და ორი კაცის მეცადინეობა (ვ. უმიკაშვილი, ი. კარგარეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.) ამ სარბიელზე საკმარისი არ არის.

ჯერ ერთი, რომ ერთი ადამიანი საქართველოს ყოველ კუთხეს ძნელად თუ შემოივლის, და რომ შემოიაროს კიდეც, ამისათვის ნივთიერი სახსარია საჭირო, რაიცა ქართველს იშვიათად გააჩნია.

მაშ, ვის უნდა მიენდოს ეს საქმე?.

ჩემის აზრით, ისეთ პირებს, რომელნიც შედარებით უფრო მოცლილნიც არიან და ზაფხულობით მაინც საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეს ეწვევიან ხოლმე.

ასეთებად მე მიმაჩნია მოსწავლე ახალგაზდები.

მართლაც, განა არ შეუძლიანთ საშუალო სასწავლებლის უფროსი კლასების მოწაფეებს და განსაკუთრებით ქართველ სტუდენტობას, რომ ამ საქმეს ხელი მოჰკიდონ?..

მთელს საქართველოში ისეთი სოფელი, მგონი, არ მოიპოვება, რომ შიგ ერთი მოსწავლე ახალგაზდა მაინც არ იყოს და ამასთანავე, რამდენიმე მოხუცი გლეხი, რომელთაც ბლომად იციან ხალხური ლექსები, მოთხრობები და სხვა.

ესეც რომ არ იყოს, მოსწავლე ახალ-გაზდისათვის სასიამოვნოცაა სხვა და სხვა სოფლებში და ადგილებში გასეირნება ამხანაგებით, რომ მიანიჭოს შვება სულს, რომელიც თითქმის მთელი წლის განმავლობაში შეხუთული ჰქონდა ქალაქების დახშულ ატმოსფერაში.

თუ სურვილი იქნება, რამდენი ხალხური ზეპირ-ნაწარმოები შეიძლება ჩაიწეროს ამ სეირნობის დროს?!.

ამ გვარად, თითო მოსწავლე ახალგაზდამ ხუთი-ექვსი ნაწარმოებიც რომ მოაგროვოს მთელი ზაფხულის განმავლობაში, მაინც ბევრი შესდგება.

ასე შეგროვილი მასალა, ჩემის აზრით, ქართულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას უნდა გადაეგზავნოს, რომელიც შესაფერისად შეამუშავებს.

ამ მუშაობის დროს, ხსენებულ საზოგადოებას, დარწმუნებული ვარ, შეხვდება ისეთი ნაწარმოებნი, რომელთა უფრო ხელოვნურად შეკეთება აუცილებელი იქნება. ამ გვარი ნაწარმოები საზოგადოებამ ახალგაზდა პოეტებს უნდა გადასცეს,

უკანასკნელნი კი უფრო ხელოვნურ ფორმებში ჩამოასხამენ ხალხურ ნაწარმოებს, რითაც გაცილებით მეტს სარგებლობას მოუტანენ საზოგადოებას, ვიდრე თავის პატარ-პატარა, ერთფეროვან და თითქმის ყოველთვის ერთ-შინაარსიან ლექსების წერით. აქ საკმარისია მოვიგონოთ დიდებული გენიოსნი: ჰომერი, შექსპირი, გიოტე და სხვანი.

ამ მხრივ ჩვენში ახლა-ხან ფრიად საგულისხმო და პატივსადები ნაბიჯი გადასდგა ბ-ნმა შანშიაშვილმა, რომელმაც დასწერა დრამატიული პოემა „შვების თავადი". (სიუჟეტი ხალხურ პოეზიიდან).

იმედია, სხვა ახალგაზდა პოეტებიც ასე მოიქცევიან.

იმედია, აგრეთვე, რომ მოსწავლე ახალგაზდობაც და განსაკუთრებით სტუდენტობა, რაც შეიძლება ჩქარა მოჰკიდებს ხელს საქმეს, თუ მცირეოდენ მაინც აინტერესებს მას სამშობლო ლიტერატურა, თავისი კულტურა, თავისი სულიერი ავლა-დიდება.

სტ. დ. ელიოზიშვილი.

## ქიზიყის ვითარება

გულ მწუხარებით უნდა ვაუწყო მკითხველ საზოგადოებას, რომ წელს ქიზიყი დაიმშევა. როგორც მოგეხსენებათ, შემოდგომის ნათესი პური და ქერი ზამთრის გვალვამ და უთოვლობამ გაანადგურა. ქიზიყელებს ცოტაოდენი იმედი ჰქონდათ გაზაფხულზე ნახნავ ახალთესლისა, ფეტვისა, სიმინდისა; მაგრამ ერთი თვე მიდის და ცას ნამი არ დაჰვარდნია, ასეთი აუტანელი სიცხეები დაიჭირა, რომ მთლად ამოახმო მოსავალი. ახალი თესლი, ფეტვი სწორედ ეხლა იყო ყვავილში, ნაწილი ეხლა უნდა ჩაედვათ, მაგრამ, როგორც ვსთქვი, ასეთმა სასტიკმა გვალვამ ქიზიყელების ეს უკანასკნელი იმედი მთლად მოფშრუკა-მიწასთან გაასწორა. რა ეშველებათ, რით უნდა აცხოვრონ ცოლშვილი, პასუხი რით გასცენ ათას გვარ ხარჯ გადასახადებს?!.. აი საკითხი. საჭიროა გამოიკვლიონ მოუსავლობის რაოდენობა და ამის და კვალად დახმარების მოწყობა. ამის გარდა, საჭიროა ეცნობოს, სადაც ჯერ არს, ქიზიყელთა ასეთი მდგომარეობა, რათა „ფოლტის ფულის" გაწერა-აკრეფის დროს მხედველობაში ჰქონდეთ, მით უმეტეს რომ მეორე წელიწადია ქიზიყმა მოსავალზე ხელი დაიბანა. შარშან, როგორც იყო, გაუძლეს მოუსავლობას, მიჰყიდ-მოჰყიდეს რაც კი რამ ებადათ; წელს რაღა ეშველებათ, გასაყიდიც აღარა ეგულებათ რა. ამას ჯეროვანი ყურადღება ახლავე უნდა მიექცეს...

როგორც არა ერთხელ მომიწერ-

---

ჰფიქრობთ, რომ თქვენგნით რასმე მოველი. არა ამისათვის არ მოვსულვარ. მხოლოდ თქვენს წინაშე დგომა მსურდა, თქვენის მზერით დავმტკბარვიყავ, რადგან მშვენიერების სიმბოლო ხართ.

— არასდროს არ გამიგონია ასეთი სიტყვები!—ცივად სთქვა გაჯავრებულმა ქალმა.

— მაპატიეთ—წაილუღლუღა ვაჟმა და სიტყვა შესწყვიტა. ქალმა კი მას ზურგი შეაქცია და ახლო მდებარე ბუჩქებს დაუწყო ცქერა. მან კვლავ მოისურვა თავის მართლება, შემთხვევით ისარგებლა და სთქვა:

— წარმოიდგინეთ, ვარდები, რომელსაც თქვენი თვალთა ხედვა შეეხო, სიამოვნებით აჩურჩულდნენ. ყურს ვუგდებ მათ ჩურჩულს. ესენი ერთმანეთთან ბაასობენ. ეს შრიალი მათი ენაა, დაუგდეთ ყური შეიძლება მათმა ჩურჩულმა რამე გითხრათ.

ქალი მიდიოდა.

— ნუ თუ უკანასკნელმა სიტყვებმაც არ იმოქმედა?—სევდითა სთქვა მან!

— აქ ვარდები კი არა ყაყაჩოა!

— თუნდა ყაყაჩო იყოს! განა ყაყაჩოს შრიალი ყვავილების ბაასი არ იქმნება? განა ისინი არ აჩურჩულდებიან თქვენ დანახვაზე?

ქალი წავიდა. სიტყვა ჯერ არ დაეთავებინა...

— მაშ კარგი! — გაღულისებით ჩაილაპარაკა ყმაწვილმა და სკამზე ჩამოჯდა. უცნობ ქალის სილამაზემ ერთბაშად მოჰხიბლა. როდესაც სასადილოდ ზარი*) დარეკეს, გულის ფანცქალით შევიდა სასადილო ოთახში.

— ნეტავი მოვიდეს! აქვე დაჯდეს. სალამს მისცემდეს!..

ქალი შემოვიდა. მოლ ჯი ისევ ხელში ეჭირა. მამაც თან ახლდა ლამაზი სახის მოხუცი, წარმოსადეგი სამხედრო კაცი. ეხლა შემთხვევით უნდა ესარგებლნა, სალამი მიეცა და მათ პირდაპირ დამჯდარიყო. „დიახ, ასე მოვიქცევი"—გაიფიქრა და კიდევაც აასრულა. ლამაზი ქალი გაწითლდა მამა და ქალი სახვალიო მოგზაურობაზე ბაასობდნენ. მამამ გამოჰკითხა ვაჟს სასტუმროებზე, გზების მდგომარეობაზე. საბრალო გულთამხიბლავი კი, რომელსაც წინედ ფიქრადაც არ მოსვლია ამ საგნებით დაინტერესება, იძულებული იყო ეპასუხნა სწრაფად და სიმართლით. ნასადილევს ყმაწვილი გაეცნო მათ.

ძლიერ კარგი—ეხლა ორივემ იცოდა მისი სახელი. დერეფანში აფიცრის ქალი შეაჩერა და უთხრა:

— მხოლოდ ერთი სიტყვა, ქალბატონო! ხვალ ნუ წახვალთ, დარჩით. უცხო სანახავებს გაჩვენებთ, მთის ნაკადებს, გემების მშენებელ ქარხნებს დაგატარებთ. ხვალ სალამოს კი თქვენს წინაშე მუხლს მოვიდრეკ და მადლობას გადაგიხდი.

ქალი მოთმინებით უგდებდა ყურს. მაშინ ყმაწვილმა წარმოსთქვა „ჩემო სიცოცხლე თქვენ ხელთ არის",..

ქალმა გაიღიმა.

— უსიამოვნობის თავიდან ასაცილებლად გაფრთხილებთ, რომ მე თითქმის დანიშნული ვარ და ხვალ მივემგზავრები.

— არა!—ჯიუტად წამოიძახა ყმაწვილმა და გაბრაზებით იატაკს ფეხი დაჰკრა წაავლო ხელი და აკოცა.

ქალი ხელიდგან დაუსხლტა, და შოლტი სახეზე გადაუჭირა. ვაჟი მყისვე დამშვიდდა. თავი შეიკავა. მარცხენა ლოყაზე სისხლის ფერი ზოლი დაეტყო. ქალმა შეხედა, შოლტი ძირს დაუშვა და მთრთოლვარე ტუჩებით წარმოსთქვა:

ღმერთო, ჩემო, გცემათ!

—არა უშავს რა—სთქვა მან,-გმნიმეორეთ ჩემთვის ეს ნეტარება.

მაგრამ დარცხვენილი ქალი თავის ოთახისაკენ გაექანა. აქ მას ვერავინ ხედავდა.

მეორე დღეს კი აღარ წავიდა.

მათ ახლო-მახლო მდებარე ადგილები დაათვალიერეს. ნახეს მთის ნაკადულები, გემების მშენებელი ქარხანა.

როგორ შეიცვალა ქვეყანა! როგორ უცემდა ქალს გული, ნეტარი გიჟმაჟობით გატაცებული!

არა, არასოდეს არ წავიდოდა სამხრეთისაკენ, იმ კაცთან—ეხლა აღარ უყვარდა—თუ არ მამის, აფიცრის ბრძანება. მაგრამ მალე ისევ უკან დაბრუნდება... და ხელი გაუწოდა გულთამხიბლავს.

— მეც წამოგყვები—სთქვა ვაჟმა—ხვალვე უკან დაგედევნები. ნახვამდის, ჩემო ერთად ერთო სიყვარულო!..

III

როგორც მუდამ ხდება ხოლმე, დადგა ჩვეულებრივი ხანა, როდესაც ალტაცების აღმოდებულს აღარაფერი ესმოდა, აღარაფერს ხედავდა. თითქმის ყოველ საათში აგზავნიდა დეპეშებს. წერილს წერილზე სწერდა სურნელოვან ქაღალდზე. მგზნებარე სიხარულით ჰკითხულობდა საამურ სიტყვებს. მთელი მისი არსება ჰყვაოდა.

დრო გადიოდა. რად აგვიანებდა წასვლას? აღფრთოვანება უშლიდა, განვლო ორმა დღემ. ყმაწვილი ისევ იქ იყო. მას არ შეეძლო საოცნებო წერილების გამოთხოვება, წერილები კი ბლომად მოსდიოდა. რად მოდიოდა ამოდენა წერილები? პირველები საუკეთესო იყო. მისი გულისთვის ეს პაწაწა ვარდის კოკრები იყო, მაგრამ შემდეგ ძლიერ გამრავლდა.

ერთ სალამოს ლამაზ ქალის წერილი დილამდე გაუხსნელი დასტოვა. გასაკვირალია, რომ მაშინვე ხელების კანკალით არ გახია პაკეტი, როგორც წინედ იქცეოდა ხოლმე.

როდესაც სასადილო ოთახში ჩამოვიდა, სამგზავროდ გამოწყობილი მანდილოსანი ნახა. ის და მისი თანამგზავრი ახალგაზდა ქალი, ეხლახან მოსულიყვნენ სასტუმროში, ქალიშვილი მხატვარი იყო; სათუთი, ალერსიანი, მგზნებარე—იგი მოგზაურობდა. დარაჯად დედა დაჰყვებოდა.

ყმაწვილი მიესალმა. ქალმა ღიმილით უპასუხა და გაწითლდა... რაღად ხანობს და არ მოემგზავრება? ნუ თუ ეს ბედია?

შემთხვევით ისარგებლა და ქალიშვილს სამსახური შესთავაზა, გაცილების ნება სთხოვა. მათ მოილაპარაკეს. დანიშნეს დრო, როდესაც ერთად წავიდოდნენ გემების გაშენებულ ქარხნის დასათვალიერებლად. დანიშნულ დროს მთელი საათით ადრე მოვიდა. სწვიმდა, მაკრამ გმირულად იცდიდა. „არა უშავს რა, ჰფიქრობდა გულში, კიდეც რომ დავსველდე და დავიმშე, მაინც ღმერთივით ბედნიერი ვარ. უკვე ორ საათს იცდიდა. ქალი არა სჩანდა. ბოლოს ქალის მაგივრად დედა მოვიდა. არ მიესურვებინა მასთან სიარული, მეგობრების ნახვა ემჯობინებინა.

მოხუცმა არც კი იკითხა თუ რამდენი ხანი იცადა, არც კი შეიცოდა, რომ დასველდა;—რა ენაღვლებოდა!

შინ დაბრუნდა. გაბრაზებული დაეხეტებოდა სასტუმროს მოსაწყენ ოთახებში. მოუთმენლობით იტანჯებოდა, ამდენხანს რატომ არ დაბრუნდა? გვიანაა, შუაღამე გადასულია!..

მის დაბრუნებას აღარ ელოდები, წავალ დავიძინებ. ძილი კი თვალს არ ეკარებოდა. სანთელი აანთო, სიგარას მოუკიდა. ერთ სიგარას მეორეზე სწევდა, მაგრამ ვერ დამშვიდდა. თავბრუ ეხვეოდა, გულზე რაღაც ლოდივით აწვა. რა სატანჯველი იყო ჭრელ შპალერების ცქერა.

ბოლოს წამოხტა. სწრაფად ჩაიცვა. იცოდა სად იყო მხატვარ ქალის ოთახი. და დაინახა, რომ მისი ფეხსაცმელები კარებთან ეწყო.. კარებს ყური მიანდო; არაფერი არ ისმოდა. ძირს დაიხარა და, როგორც გიჟმა, გადარეულმა, სასოებით აკოცა პაწაწა ქოშებს. შემდეგ თავის ოთახში დაბრუნდა. გადასწყვიტა ხვალ ყველაფერი გაეთავებინა ქალისათვის გული გადაეშალა, ჰმუნვა, სიყვარული, გაეზიარებინა.

— ან სიკვდილი — ან გამარჯვება.

მაგრამ ქალი და დედა მისი დილაადრიან გამგზავრებულიყვნენ. სცდილობდა გაეგო საით წავიდნენ, და ბოლოს გაიგო კიდეც: ჩრდილოეთით, მახლობელ ქალაქში.

ამ დილით მიიღო წერილი. აფიცრის ქალიშვილი სწერდა: „წამოდი სამხრეთისაკენ, აქ ეხლა ყველაფერი ჰყვავის"!

ის კი ჩრდილოეთისაკენ გაექანა...

ქორიდელი.

*) ხაზღვარ გარედ მოგზაურთათვის სასტუმროებში სადილობის დროს ზარის ხმით ატყობინებენ.

ნია, ქიზიყში მიწის საკითხი ძრიელ არეულ-დარეულია. თვითოეულმა სოფლის საზოგადოებამ არ იცის რაოდენობა თვისი კუთვნილი სახნავ-სათესი საძოვარი ადგილებისა, რადგანაც მეზობლად მდებარე სოფლის საზოგადოებანი ჯერეც განუყრელნი არიან და თვითოეულს არა აქვს მიზომილი გადაწყვეტილი ადგილის კუთვნილ ადგილ-მამული. ამის გამოისობით, სოფლის საზოგადოებათა შორის ხშირია ჩხუბი, დავიდარაბა, სისხლის ღვრა. კარგა ხანია მათ არზები შეიტანეს, სადაც ჯერ არს, რათა მიწის მზომელნი გამოეგზავნათ, თვითოეულ საზოგადოებისათვის კუთვნილი ადგილი მიეზომნათ და „ფოსტის ფულიც" მიზომილ მიწების რაოდენობის თანაბრად შეეწერნათ.

ამ საჩივრების გამო, სოფელ ქვემო-მაჩხაანში მობრძანდა ტფილისიდან გამოგავნილი მოხელე, რომელმაც დამსწრე მოხელე-სოფლელების წარმომადგენელთ განუმარტა, რომ ჯერ-ჯერობით ყოვლად შეუძლებელია მიწის მზომელის გამოგზავნაო, რადგანაც კერძო მესაკუთრე, თავისუფალი წოდების წარმომადგენელთა მიერ დაყოლნილ მამულებზე დავა სასამართლოში ჯერ არ გათავებულა და არ ვიცით, კერძო მესაკუთრეებს რაოდენი სახნავ-სათესი მამულები დარჩებათო.- მხოლოდ, როდესაც ეს გადაწყდება,- რაიცა მომავალ იანვრამდე უნდა მოხდეს,- ჩვენ თვითონ მოწადინებულნი ვართ, თქვენში მიწის საკითხი მოვაწესრიგოთო.

ჩემის აზრით, ეს ასეც იქნება, რადგანაც მათი სურვილია ქიზიყელებს მიუზომონ რაოდენობა გადაწყვეტილ მამულისა მამრობითის სქესის მიხედვით, დანარჩენი ადგილები კი გადმოსახლებულთა საახალშენოდ შეინახონ. ამის ცხადი მაგალითი არა ერთი და ორი ვიციო... მარტო ის ერთი მაგალითი რადა ღირს, რომ ეს ორი წელიწადია ს. ჯუგაანიდან მაწიმზე, ლაგოდახის გვერდით, გადმოსახლებულთ, იმ ადგილიდან ერეკებიან მიწას არ უზომავენ, ეს ადგილები სხვა მოსახლეობას ელისო.

კვირას, 26 თიბათვეს, ს. ქვემო-მაჩხაანში მრავალ თავმოყრილ საზოგადოების თანადასწრებით გადავიხადეთ პანაშვიდი ღ. ზ. სარაჯიშვილის სულის მოსახსენებლად. იმ დღითვე სამძიმრის დეპეშა გამოეგზავნა „სახალხო გაზეთის" რედაქციას.

ამ მოკლე ხანში ს. ქვემო-მაჩხაანისა და მახლობელ სოფლ. სცენის მოყვარეთა მიერ ა. ახმეტელაშვილის რეჟისორობით ს. ქვემო-მაჩხაანში წარმოდგენილი იქნება ა. სუმბათაშვილის „ღალატი". **X.**

# მოწერილი ამბები

**სოფ. - ვანი.** (ქუთაისის მაზრა) ამას წინად ადგილობრივ ადმინისტრაციის განკარგულებით საზოგადო ურილობა მოხდა, რომელსაც მთელი ვანის საზოგადოება დაესწრო. პოლიციის გადმოცემით, მთავრობას განუზრახავს ქუთაისსა და მარცხნივ მდებარე სოფლებს შუა მუდმივი შეუწყვეტელი მიმოსვლა მოაწყოს ხელმისაწვდომად ბორანის გამართვით, იმ საზოგადოებისთვის, რომელიც უფრო მეტს ფულს გამოიღებს და წარუდგენს მას. ამისათვის საზოგადოებამ აირჩია ოთხი კაცი, რომლებსაც მიანდო კანონისამებრ ზრუნვა როგორც ბორანის ისე სხვა და სხვა საზოგადო საქმეებისათვისაც.

**ხულორიხპირელი.**

# ევროპა და მაროკო

**დეპეშები**

1 თიბათვე

**სან-სებასტიანი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა განუცხადა ჟურნალისტებს, მთავრობა ცდილობს, ისპანიის უფლებას და ინტერესებს ყველამ ანგარიში გაუწიოს, საფრანგეთის პრესას ემდუროდა საფრანგეთ-ისპანიის ხელ-შეკრულების ფაქტები დაამახინჯაო.

**ალკასარი.** საფრანგეთის საელჩოს მოსამსახურე, ისპანიელებმა საელჩოს კარწინ დაატუსაღეს და თავიანთ ბანაკში წაიყვანეს. კონსულმა მოსამსახურე ვერას-გზით ვერ განთავისუფლებინა.

**გაზეთებიდან.**

**ბერლინიდან** იტყობინებიან: კიდერლენ-ვეხტერმა და საფრანგეთის ელჩმა კამბონმა მოლაპარაკება დაიწყესო. მოლაპარაკების შინაარსს საიდუმლოდ ინახავენ. კამბონი პარიზში ტელეგრამით განუწყვეტლივ ელაპარაკება, მის გამგეობაში სამი შიკრიკია. მხოლოდ იმის გაგება მოახერხეს, რომ მოლაპარაკება სრულიად ევროპის კუთხეებს ეხება, ინგლისს ეშინიან, საფრანგეთმა, მიუხედავად მისი დახმარებისა, გერმანიას ბევრი რამ არ დაუთმოს. ასევე მიდის მოლაპარაკების საქმე პარიზშიაც. იქაც მოლაპარაკების მსვლელობას საიდუმლოდ ინახავენ. ამბობენ კი საფრანგეთის ელჩს, კრეისერ „ბერლინის" აგადირიდან გამოყვანაზე გერმანიისათვის არაფერი უთქვამსო. ფრანგებს მორიგების იმედი აქვთ. გაზეთი „Standard"-ი ამბობს, თუ გერმანიამ აგადირი ხელში ჩაიგდო, ინგლისი ამას ვერ მოითმინოსო. თუ იქ გერმანია გამაგრდა, ინგლისის საზღვაო ძლიერებას საბრთხე მოელისო. საფრანგეთის და ისპანიის სოციალისტები ომის საწინააღმდეგო მიტინგებსა ჰმართავენ. საფრანგეთის სოციალისტებმა მიტინგზე ისპანიისა, გერმანიისა და ინგლისის სოციალისტები მიიწვიეს. ისპანიის მთავრობა ძალიან ნაწყენია, რომ საფრანგეთმა და გერმანიამ მოლაპარაკებაში მონაწილეობა არ მიაღებინეს.

რუსეთის განცხადებას ვერმანელების პოლიტიკურ წრეებში ცუდათ უმოქმედნია. კიდერლენ-ვეხტერს რუსეთის ელჩისათვის უთქვამს, გერმანიას აგადირში არავითარი პოლიტიკური ინტერესები არა აქვს. და მხოლოდ გემი იმიტომ გაჰგზავნა, რომ იქიდან გერმანელმა ვაჭრებმა საშიში ამბები გამოგზავნესო. გერმანია გემ „ბერლინს" ამ მოკლე ხანში უკან დაიბარებსო. რუსეთის დიპლომატები ამ განცხადებით არ დაკმაყოფილდნენ. მათ ბერლინში ელჩისათვის შეუთვლიათ, გადაჭრით გაიგე, როდის გამოვა გერმანიის გემი აგადირიდანაო.

# ალბანეთი, ოსმალეთი და ჩერნოგორია

**დეპეშები.**

1 მკათათვე.

— **ბუდაპეშტი.** „პესტერ-ლლოიდი" ჩერნოგორიის მოქმედებაზე ამბობს, ჩერნოგორია იმიტომ ჩაერია ალბანეთის საქმეში, რომ ოსმალეთ-ალბანეთის მორიგებას ხელი შეუშალოს და ალბანელები უზედურობამდის მიიყვანოსო; თუ ალბანელები ეხლავე არ ეცადნენ თავიანთ მთავრობასთან მორიგებასა და დანაპირებთა უთავდებოთ დაჯერებას, ადვილი შესაძლებელია, რომ ახლანდელი კარგი მდგომარეობა წახდეს და ამ წახდენილი საქმით ჩერნოგორია ბევრს მოიგებსო. მაშინ ალბანელები ისე იმოქმედებენ, რომ ოსმალეთი ჩერნოგორიას მოსპობსო.

**ვენა.** „რეიხს-პოსტი" ერენტალს მოქმედებას უწუნებს, მან ვერ მოახერხა რომ აზიელ ბრბოებს ჩრდილოეთელი კათოლიკე ალბანელები არ გაეწყვიტათ; გაზეთი უკმაყოფილოა იმ პოლიტიკით, რომელმაც ხმა გაბედულად ვერ ამოიღო და დაქცევის გზაზე დამდგარ ოსმალეთსაც კი ვერაფერი გაუწყოდაო.

სტამბოლიდან იტყობინებიან, ხმა გავრცელდა, რომ თურღუთ-ფაშა სტამბოლს დაიბარეს და მის მაგივრად ალბანეთში ორ ამ თვეს გენერალი ესად-ფაშა წავაო.

**პოდგორიცა.** სააგენტოს კორესპონდენტმა მოსაზღვრე სოფელი ნიკმარაჩ-ზატრებაჩი დაათვალიერა. ეს სოფელი მთებშია მივარდნილი. აქაურები მებრძოლთა ახლო ნათესავები არიან. ამნისტიის ამბის გაგებამ აქ ყველანი დაამშვიდა. მრავალი უკვე დაბრუნდა სახლში. ეხლა აქ მხოლოდ გაძლიერებული ყარაულები დგანან.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 მკათათვე.

**საზღვარ-გარედ.**

**პარიზი.** 30 თიბათვეს სადაოთი გაფიცულ მუშებსა და პოლიციის შეტაკება მოუხდათ. 17 პოლიციელი დაიჭრა. რამდენიმე გაფიცული დაატუსაღეს.

**რომი.** პაპიმ მრავალი მეტი უქმე ები მოსპო.

**ლონდონი.** საუტამპტონიდან იტყობინებიან, გაფიცულ მეზღვაურთა კომიტეტმა დაადგინა, მეზღვაურები იმ დრომდის იქნებიან გაფიცულნი, ვიდრე გემთა პატრონები მეზღვაურთა წარმომადგენლებს არ დაიბარებენ და მოლაპარაკებას არ გამართავენო. გაფიცულია 30.000 კაცი.

**სარაგოსა.** გაფიცულებსა და პოლიციას შეტაკება მოუხდათ. ასტუდა სროლა. მრავალი დაიჭრა. საახედრო წესების გამოცხადებას უცდიან.

**სტამბოლი.** პოსტსადმი მიმართულ მემორანდუმში რამდენიმე მსოფლიო პატრიარქისა და ბულგარეთის არ ქიელს უწერიათ ხელი, მაღრიდას აღნიშნული მაკედონელ ქრისტიანთა აუტანელი მდგომარეობა.

**ბრისტოლი.** ნავთ-სადგურის მუშებმა მუშაობა განაახლეს.

**რ უ ს ე თ ი.**

**კიევი.** ნებადაურთველად სკოლების გახსნისა და შენახვისათვის, გენერალ-გუბერნატორმა დააჯარიმა გორბულეის კორტელის წინამძღვარი კსენდზი ანდრუშკევიჩი 100 მ. შვიდი მშობელი, რომელთა შვილებიც იქ სწავლობდნენ, თითო 25 მანეთით: მასწავლებელი გორნგალო შვიდის დღით დაპატიმრეს.

**რიგა.** მიწათმოქმედების მთავარ გამგეობისაგან ბალტიის მხარისა გენ საქონლის სავეზ ბალახეულობის წარმოებისა, ხილეულობისა და ბოსტნეულის მდგომარეობის გასაცნობად გაგზავნილი ნიჟეგოროდის, ვლადიმირის, იაროსლავის და კოსტრომის გუბერნიების აგრონომები გაეცნენ ადგილობრივ მეურნეობას და ახლა მეველიას ესტუმრებიან.

**ცარიცინი.** ასტრახანიდან მიმავალ მუშას ხოლერა გამოაჩნდა.

**სკობელევი.** გუბერნატორმა პეტერბურგში გამგზავრებამდე დაათვალიერა „მოხალისეთა რაზმი" და სიტყვა უთხრა.

**ვიატკა.** საოლქო გამგეობის თავმჯდომარეთა კრებამ და სახალხო სასწავლებელთა ინსპექტორმა, ერთხმით დაადგინა ვიატკაში დაარსდეს სასოფლო ინსტიტუტი და სამი სასოფლო სემინარია.

**ფ რ ე ნ ა**

**პეტერბურგი.** გატჩინის ჰაეროდრომზე ფრანგი ავიატორი დიუბუსი აფრინდა ბრეგეს ბიპლანით 400 ადლის სიმაღლეზე, იფრინა ხუთმეტ წუთს. ეს ბიპლანი ამის შემდეგ გადაეცა სამხედრო დაწესებულებას.

# წერილი რედ. მიმართ

ბატონო რედაქტორო, უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში დამიბეჭდოთ შემდეგი წერილი: დიდ მადლობას უძღვნი მცხოვრებლებს ლიხაურის საზოგადოებისას, ნოე ესესძე თოიძეს და ერმილე ვასაძეს. პირველმა, ე. ი. ნოე თოიძემ, შემოსწირა რწმუნებულ ჩემდამი ლიხაურის ორკლასიან სასწავლებელს წიგნები და სხვა და სხვა ხელთ მძღვანელნი სწავლისა, ღირებული (50 მ. 45 კაპ.) ორმოცდა ათ მანეთად და ხრა შაურად.

ერმილე ვასაძემ კი ათი მანეთი ფულად საბავშვო წიგნთ საცავის წიგნების შესაძენად. 28 ივნისს 1911 წელსა.

ლიხაურის ორკლასიანის სკოლის ზედამხედველი **დიმიტრი შარაშანიძე.**


# განცხადებანი

## ქირავდება

საუცხოვო ასფალტ-დაგებული კუთხის ხარდაფი, სარესტორანოდ ან ღვინის საბაჟოდ, საქონლის საწყობადაც გამოდგება.

რეუტოვისა და ჩერქეზიშვილის (ყოფილ ავჭალისა) ქუჩა, № 20. (1—710—1)

## დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურის ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანის, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ხ. ზილბერმანი:** 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. მ. ზეევსკაია-ენგელი:** 6—6½ საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარცამშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. **606 წამლობა, კონსულტაციურად.**

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინ.

დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ. (1168—73)

**მუხრანის ქუჩა**

## სამკურნალო

**გ ა ი ხ ს ნ ა**

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებს.

**ატენიანცი ნ. ა.** ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

**ნ. მ. ახმახოვი**—(მედ. ექ.), ყურის ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. აბვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებან დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**ქ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ა. მელქონიანი**—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე **ექ. ა. ი. გრიგორიანი.** № 646. 100—5 (0—1003—99)

**ქ. თ ე ლ ა ვ შ ი**

**ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე**

## ჭრა-კერვის

**წ ი გ ნ ი**

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. ხიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერვა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Вульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—50)

**სუსუნატის წინააღმდეგ**

ახალი წამალი

## „SALO-პირილინი"

სწრაფად და საფუძვლიანად მოქმედობს და ექიმთა აზრით გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფითაა, 1 მან. და 80 კ.

აგრეთვე კარგად მოქმედობს ამ სენის გამწვავებისა და ქრონიკულად გამოჩენის დროს და სულ მოკლე ხანში შეუწყვეტელ მდინარეობასაც აჩერებს.

დეპო: Петербургъ. Разъѣзжая N 7, Аптека Б. Конгейма.

ფას-დადებით იგზავნება. გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. კავკასიის საფთიაქო საქონლით მოვაჭრე საზოგადოებაში იშოვება. Метцль. 12429. (45—1014—21)

საუკეთესო ღირსების და ნადული წყლისაგან დამზადებული

## პურის კვასი „გემო"

იყიდება ყველგან · მოითხოვეთ ყველგან

კვასი „გ ე მ ო" იყიდება ყველგან. ბოთლი 10 კაპ., ნახევარ ბოთლი 5 კაპ. პირდაპირ ქარხნიდან- წამოებ მუდმივ მხმარებელს მიეცემა ყინულში გაცივებული და ფ-ს დაკლებით. ქარხანა იმყოფება: ვერაზე, ბელინსკის ქ. № 13, სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს მახლობლად. (15—1281—13)

## საკერავი მაშინა

**ზინგერის კომპანიისა**

**იყიდება**

მხოლოდ კომპანიის საკუთარ მაღაზიებში

ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილ 1 მანეთიდან

ხელის მაშინები ფასად 25 მანეთიდან

КОМПАНIЯ ЗИНГЕРЪ

მაღაზიის ნიშანი.

უფთხილდით სიყალბეს

მაღაზიები ყველა ქალაქებში.

(წ—1062—31)



**ალექსანდრე**

## თაბაგარი

მ ა ღ ა ზ ი ა შ ი

**საკერავი და საქსოვი მაშინები,**



ქუთაისი ალექსანდროვის ქ.

**გრამოფონები და ველოსიპედები**

და მათი მოწყობილება დამზადებულია საზღვარ-გარეთის საუკეთესო ქარხნებში, რის სიკარგეშიც ვიძლევი გარანტიას. ფასები საქარხნოა (ზომიერია), როგორც ნაღდზედ, აგრეთვე ნისიათ, (თვიურად შემოტანით). ჩვენს საკერავ მაშინებს აქვს წარწერა. „ПО ОСОБОМУ ЗАКАЗУ—А. Р. ТАБАГАРИ КУТАИСЪ", რომელიც უტყუარია და მყიდველებიდგანაც მაქვს მადლობის წერილები. მყავს გამოცდილი მექანიკი, შეკეთება ყველაფ რის კარგად და ზომიერ ფასებში. გრამოფონის პლასტინკები ახალ-ახალი მოგვდის ყოველ კვირა.

ფოსტის ადრესი: Кутаисъ, А. Р. Табагари. (50—1072—30)

**ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში**

## იყიდება შემდეგი წიგნები:

**ა რ ჩ ი ლ ჯ ო რ ჯ ა ძ ი ს ა:** „ეროვნულ პრობლემის გარშემო" ფასი 75 კაპ.

**B ä t o n-ისა:** „ერი და კაცობრიობა განხილული სოციოლოგიური მხრით".—ფასი 1 მან. 20 კაპ.

**გ. ყ ი ფ ი ა ნ ი ს ა:** „სამეგრელოს მთავარი ბატონიშვილი ლევან"—ისტორ. დრამა—ფასი 40 კაპ.

ზემო აღნიშნული წიგნები იყიდება აგრეთვე გოლოვინის პროსპექტზე „ახალი სიტყვის" („Новая рѣчь") წიგნ. მაღაზიაში და ქუთაისში—მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

**სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ**

## ძმ. ძეგველოვების

**მ ა ღ ა ზ ი ა ს**

პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

## ახალ-ახალი

**ოსეტრინა** (ზუთხი) **და სევრიუგა** (ტარაღანა).

## ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მიღებულია დვინის ორაგული** (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაიხუნი ხიზილალა

გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. ზირ.

და ზოლა-რიბეც 50 კ.

აგრეთვე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები. (წ—1063—)


სტამბა „სორაპანი", მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.